## ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

### სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 03-05/77

ქალაქი ბათუმი, 14.12. 2016 წელი

ერთის მხრივ სსიპ ქალაქ ბათუმის №22 საჯარო სკოლა (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი დირექტორის გიორგი რუხაძის სახით და მეორეს მხრივ შპს. ,,csc batumi " (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი დირექტორის ამირან გოგრაჭაძის სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საბიუჯეტო სახსრებიდან (**CPVკოდი:30100000**) სახელწიფო შესყიდვა დანართი №1-ის მიხედვით, რაც თავის მხრივ წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

### 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 60,00 (სამოცი) ლარს.
2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

### 3. მიწოდების ვადა და ადგილი

3.1. მომსახურების გაწევა განხორციელდება ეტაპობრივად 2016 წლის 14 დეკემბრიდან 2016 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით. შემსყიდველის მიერ სიტყვიერი მოთხოვნის შესაბამისად.
3.2. მომსახურების გაწევის ადგილია ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი№ 330

### 4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირი სსიპ ქალაქ ბათუმის №22 საჯარო სკოლის დირექტორი გიორგი რუხაძე.
4.2. მომსახურების მიწოდებისას გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, სადაც დაფიქსირდება მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაბამისობა წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან და მიეთითება მიწოდებული შესყიდვის ობიექტის დასახელება, რაოდენობა და ფასი.

### 5. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალსწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში.
6.2. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების 4.2. პუნქტით განსაზღვრული წესით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად შევსებული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

### 6. მხარეთა ვალდებულებები

6.1. მიმწოდებელი ვალდებულია:
6.1.1უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის/მომსახურების შემსიდველისათვის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
6.1.2. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს მომსახურება იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 3.1 პუნქტში.
6.1.3. მიაწოდოს შემსყიდველს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი.
6.1.4. შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 2(ორი) სამუშაო დღის ვადაში განახორციელოს უხარისხო საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე.
6.2. შემსყიდველი ვალდებულია:
6.2.1 აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და შესაბამისი ფორმით.

### 7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.
7.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს სსიპ ბათუმის №22 სკოლის დირექტორი გიორგი რუხაძე.

-------------------- --------------------

შემსყიდველი მიმწოდებელი

### 8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02 პროცენტის ოდენობით.

### 9. დაუძლეველი ძალა

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

### 10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

### 11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

11.2. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

### 12. სადავო საკითხების გადაწყვეტა

12.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

### 13. სხვა პირობები

13.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13.3. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

13.4. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის .შესრულდება ქართულ ენაზე.

13.5. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელის თითო ეგზემპლარი ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

### 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2017 წლის 30 იანვრის ჩათვლით.

### 16. მხარეთა რეკვიზიტები

| „შემსყიდველი" | „მიმწოდებელი" |
|---|---|
| სსიპ ქალაქ ბათუმის №22 საჯარო სკოლა | შპს. ,,csc batumi'' |
| მის: ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №330 | მის: ბათუმი, ზ.გორგილაძის ქ. №86 |
| ს/კ 248385395 | ს/კ 448386425 |
| სს ,,ლიბერთი ბანკი'' ხელვაჩაურის ფილიალი | ,,თიბისი ბანკი'' |
| ბანკის კოდი: LBRTGE 22 | ბანკის კოდი: TBCBGE22 |
| ა/ა GE36LB0121181048034000 | ა/ა GE52TB7563236080100001 |
| შემსყიდველი | მიმწოდებელი |

დანართი №1

| № | დასახელება | ზომის ერთეული | რაოდენობა | ერთეულის ფასი | საერთო ღირებულება | CPV კოდი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | კარტრიჯის შევსება (100გრ ტონერი) | ცალი | 5 | 12,00 | 60,00 | 30125110 |
| | სულ: | | | | 60,00 | |

შემსყიდველი: გ.რუხაძე

მიმწოდებელი ა.გოგრაჭაძე

# მიღება - ჩაბარების აქტი

19. 12. 2016 წ

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ შპს. „csc batumi" (შემდგომში „მიმწოდებელი") მისი დირექტორის ამირან გოგრაჭაძის სახით და მეორეს მხრივ სსიპ.ქალაქ ბათუმის №22 საჯარო სკოლა (შემდგომში„შემსყიდველი") მისი დირექტორის გიორგი რუხაძის სახით ვადასტურებთ, რომ 2016 წლის 14 დეკემბრის №03-05/77 ხელშეკრულების თანახმად ,,მიმწოდებელმა" ჩააბარა, ხოლო ,,შემსყიდველმა" მიიღო:

1. 78A კარტრიჯის შევსება (100გრ ტონერი) 1 X 12,00 =12,00

მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად და ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან, რასაც ვადასტურებთ ხელისმოწერით

შპს. „csc Batumi"
დირექტორი: /ა. გოგრაჭაძე/

CSC BATUMI
448386425

სსიპ ქალაქ ბათუმის №22 საჯარო სკოლის

დირექტორი: /გ.რუხაძე/

# საგადასახადო ანგარიშფაქტურა

დანართი NoIII-05
დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის
31.12.2010 წ. N996 ბრძანებით

გადაგზავნილი

| 1 | ეა-70 4227904 |
|---|---|

| 3 | დეკემბერი | 2016 |
|---|---|---|

ოპერაციის განხორციელების პერიოდი
(თვე სიტყვიერად, წელი)

| 4 | 19 | დეკემბერი | 2016 |
|---|---|---|---|

გამოწერის თარიღი
(რიცხვი, თვე სიტყვიერად, წელი)

| 5 | გამყიდველი |
|---|---|

| 5.1 | 4 | 4 | 8 | 3 | 8 | 6 | 4 | 2 | 5 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

| 5.2 | შპს csc batumi |
|---|---|

დასახელება (სახელი, გვარი)

| 6 | მყიდველი |
|---|---|

| 6.1 | 2 | 4 | 8 | 3 | 8 | 5 | 3 | 9 | 5 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

| 6.2 | სსიპ ქალაქ ბათუმის #22 საჯარო სკოლა |
|---|---|

დასახელება (სახელი, გვარი)

| საქონლის (მომსახურების) დასახელება | ზომის ერთეული | მიწოდებული საქონლის რაოდენობა | საქონლის (მომსახურების) ღირებულება დღგ-ს და აქციზის ჩათვლით | მათ შორის | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | დღგ-ს თანხა | აქციზის თანხა |
| 78 A კარტრიჯის შევსება | ცალი | 1.0000 | 12.0000 | 1.8300 | 0.0000 |
| | | სულ | 12 | 1.83 | 0 |

სასაქონლო ზედნადების No თარიღი

ხელმძღვანელის, ან სხვა უფლებამოსილი პირის

ხელმოწერა________________________ ბ.ა.

მყიდველის ჩაბარდა ხელზე

ხელმოწერა________________________ ბ.ა.

ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK

ლიბერთი ბანკი

საგადახდო დავალება #: 4170

თარიღი: 2016 წლის 23 12, პარასკევი

| | |
|---|---|
| GEL | GEL |
| | 12.00 |
| თანხა სიტყვიერად | თორმეტი GEL და 00 |

გადამხდელის დასახელება: სსიპ "ქალაქ ბათუმის #22 საჯარო სკოლა"

ანგარიში (დებეტი): GE36LB0121181048034000

გადამხდელის ბანკი: სს "ლიბერთი ბანკი"

ბანკის კოდი: LBRTGE22

გადასახადის გადამხდელის დასახელება:

საიდენტიფიკაციო კოდი:

საბიუჯეტო შემოსავლის კოდი:

მიმღების დასახელება: შპს csc batumi

საიდენტიფიკაციო კოდი: 448386425

ანგარიში (კრედიტი): GE52TB7563236080100001

მიმღების ბანკი: "თიბისი ბანკი"

ბანკის კოდი: TBCBGE22

გადახდის დანიშნულება: კარტრიჯის შევსება

ხელმოწერა:

ბ.ა.

დოკუმენტი დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი: 23.12.2016

ხელმოწერა:

ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK